

მარიამ ადამაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

XXI საუკუნის გამოცხადებული ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

თეზისები: „იქნებ არცერთ მსოფლიო გენიას არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისთვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვის“. – წერდა იაკობ გოგებაშვილი¹. ილიამ ქვეყნის მომავლის გზა მონიშნა:

1. საგანმანათლებლო სექტორში გადაწყვიტა, ქართველებისათვის განათლების მარცვალ ჩაეგდო.
2. ფიქრობდა, რომ ფულადი კომუნიკაციები მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი იდენტობისათვის და პირველი ქართული ბანკიც მისი ინიციატივა იყო.
3. ილიამ დიდი წვლილი შეიტანა ევროპაში აპრობირებული ვირტუალური საკომუნიკაციო სივრცის – პრესის განვითარებაში, რითიც განმანათლებლობის თემა კარგად მუშაობდა.

ახალ იდენტობათა ეს სექტორი, რაც საზოგადო მოღვაწემ „მამული, ენა, სარწმუნოების“ შემდეგ მოინიშნა, რა თქმა უნდა, ევროპულია. ილიასა და მისი თანამოაზრეების, თერგდალეულთა, იდეოლოგია ეფუძნებოდა ევროპულ სახელმწიფო აზროვნებას, რომელიც პიროვნულ თავისუფლებას, შრომით მოპოვებულ განვითარებასა და სიმდიდრეს ემყარება. ილია ცდილობდა, დაემკვიდრებინა ის სამოქალაქო ეთიკა, რასაც სოციალური და, აგრეთვე, პოლიტიკური თვალსაზრისით დასავლეთი, ევრო-ამერიკული სივრცე, ამკვიდრებდა. სიტყვისა და აზროვნების თავისუფლება ილიას მნიშვნელოვან მონაპოვრად მიაჩნია. ის ამბობდა: „მწერლობას მოსპობილი აქვს ყოველი გზა და სახსარი გაცხოველებისა... თავისუფლად

1. ილიას სამრეკლო (მოგონებათა კრებული), თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1988, გვ. 10.

თავის აზრისა და შეხედულობის გამოთქმისა“, „სხვა ქვეყნებში, სადაც კი ბეჭდვის სიტყვის, უურნალ-გაზეთებისა და საზოგადოთ ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა ცოტათი მაინც ესმისთ, რაც უნდა უბრალო გაზეთის კორრესპონდენტი და თანამშრომელი იყოს, თავს ევლებიან, ხელზე ატარებენ, ეფუფუნებიან...“² ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია, ოღონდ თანამედროვე პირობებში ვითარება კიდევ უფრო რთულდება, რადგან კაცობრიობამ შექმნა ბრძოლის ახალი ფორმა – ინფორმაციული ომი.

დღეს, ქართული სახელმწიფოს საძირკველი სწორედ XIX საუკუნეში უნდა ვეძებოთ და ისიც ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში, მაშინ როცა ქართველმა სათანადოდ გააცნობიერა, შეაფასა და აღწერა რუსეთის კოლონიალური ხელისუფლების ქვეშ მყოფი საქართველო. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დასავლური პოლიტიკური ღირებულებების შესავალში უნდა გამოვყოთ *მგზავრის წერილები*, რაც ქართული ისტორიოგრაფიის მიერ მიჩნეულია ჭავჭავაძის მოღვაწეობის საპროგრამო გეგმად. მეტიც, პოლიტიკური თვალსაზრისით, ის დამოუკიდებლობა დაკარგული ქართული საზოგადოებისათვის ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მანიფესტი აღმოჩნდა.

საკვანძო სიტყვები: ილია ჭავჭავაძე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება, XIX საუკუნე

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. თბილისისა და ქუთაისის გიმნაზია დამთავრებული ქართველი ახალგაზრდები უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთის უნივერსიტეტებში (ძირითადად პეტერბურგსა და მოსკოვში) მიდიოდნენ. მათი ნაწილი მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში გავრცელებული ახალი იდეებით ბრუნდებოდა სამშობლოში. ისინი აღჭურვილნი იყვნენ ფრანგი განმანათლებლების იდეებით – გონებრივი განვითარების რაციონალური სისტემით, პოლიტიკური თავისუფლების იდეით და სხვა. ამ შემთხვევაში, ქართველი „განმანათლებლების“ წინ საკმაოდ რთული ამოცანა იდგა: მათი ახალი იდეების გავრცელების „ასპარეზი“ რუსეთის იმპერიის მიერ შევიწროვებული ქართული საზოგადოება იყო. ახალი იდეების დამკვიდრებას საქართველოში ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა.

2. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა აკადემიური გამოცემა, ტ. XIII, თბილისი, „ილიას ფონდი“, 2007, გვ. 80.

ილია XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული ეროვნული მოძრაობის მეორე ეტაპის აღიარებული ლიდერი გახდა, რომელიც მთელი არსებით იყო დაკავშირებული ხალხთან და უდიდეს შვებას მათზე ზრუნვაში პოულობდა. ილიამ თავისი მამულები გლეხებს დაურიგა და უფრო დიდი მამულის – სრულიად საქართველოს საპატრონოდ დედაქალაქში ცხოვრობდა.

„იქნებ არცერთ მსოფლიო გენიას არ ჰქონდეს იმოდენა მწვენილობა თავისი ერისთვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვის“.
– წერდა იაკობ გოგებაშვილი³.

მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი... / ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა
სხვა ვარსკვლავს, / ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, / ჩვენ უნდა
მივსცეთ მომავალი ხალხს...⁴

ასე დაინახა ილიამ მომავლის გზა და ერის ხვალინდელი დღე. საქართველოს ცხოვრებაში არ ყოფილა არცერთი საჭირობოროტო საკითხი, ილიას თვალი რომ არ მისწვდენოდეს. ილიას და მის თანამებრძოლებს ესმოდათ, რომ ქართველი ახალგაზრდობა ვერ მიიღებდა რუსული მმართველობის პირობებში ისეთ განათლებას, რომელიც მათ ეროვნულ იდოლოგიას მიაწვდიდა. სწორედ ასეთ ვითარებაში დადგა დღის წესრიგში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების საკითხი. აღნიშნულმა საზოგადოებამ განათლების სიტემის ეროვნულ საწყისებზე დასაბრუნებლად ილიას თაოსნობით დიდი სამუშაოები გასწია.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული თაობა – თერგდალეულები – წინ აღუდგა რუსეთის იმპერიის კოლონიურ პოლიტიკას:

- ქართული ენის დევნას თერგდალეულებმა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დაუპირისპირეს;
- განათლების სისტემის რუსიფიკაციას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ აღუდგა წინ;
- ცენტრალურ და ადგილობრივ რუსულ პრესას ასპარეზი ქართულმა ბეჭდურმა მედიამ – დროებამ და ივერიამ წაართვა;
- რუსული წიგნის მონოპოლია ქართულმა შეზღუდა;

3. ილიას სამრეკლო, *op. cit.* გვ. 10.

4. ილია ჭავჭავაძე, *რჩეული ნაწარმოებები* 5 ტომად, „ლექსები, პოემები, თარგმნილი ლექსები და პოემები“, ტ.1, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1985, გვ. 44.

Fondements philosophiques de la littérature.

- საქართველოში რუსული და სხვა უცხოური თეატრების გაბატონება თბილისისა და ქუთაისის პროფესიულმა თეატრებმა არ დაუშვეს;
- რუსულ იმპერიულ ფულად-საკრედიტო დაწესებულებებს სერიოზული კონკურენცია თბილისისა და ქუთაისის საგუბერნიო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკებმა გაუწიეს.

ილია ჭავჭავაძე, ეწეოდა რა დიდი ხნის განმავლობაში ჟურნალისტურ საქმიანობას, ინფორმაციულად ჩართული იყო მსოფლიოს პოლიტიკური და კულტურული ტენდენციების პროცესში. შესაბამისად, იგი ცდილობდა, დაემკვიდრებინა ის სამოქალაქო ეთიკა, რასაც სოციალური და, აგრეთვე, პოლიტიკური თვალსაზრისით დასავლეთი, ევრო-ამერიკული სივრცე, ამკვიდრებდა. ილია სწრაფად ეხმიანებოდა მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს როგორც პუბლიცისტიკის, ასევე მხატვრული ტექსტების საშუალებით. ცნობილია მისი არაერთი ბეჭდვითი გამომხატურება მსოფლიო სიახლეების შესახებ. ცნობილია მისი ლექსები ჯუზეპე გარიბალდის იტალიის განმათავისუფლებელ მოძრაობაზე.

დემოკრატია, პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა განმარტებით, არ ნიშნავს მხოლოდ ხალხის, უმრავლესობის მმართველობის პოლიტიკურ რეჟიმს. მისი ლექსიკური მნიშვნელობა (დემოს – ხალხი და კრატოს – მართვა) უპირველესად „მართვას“, ე.ი. პოლიტიკურ წყობას აღნიშნავს, მაგრამ დემოკრატია არის, აგრეთვე, იდეოლოგია, ფასეულობათა სისტემა და სამოქალაქო აზროვნების წესი.

დემოკრატის იდეა ათენის სკოლაში ჩამოყალიბდა მისი პირველი იდეოლოგების, პლატონისა და არისტოტელეს თეორიების⁵ საფუძველზე. თუმცა, დემოკრატის ეს ჩანასახები საბოლოოდ ვერ ატარებს იმ მნიშვნელობას, რასაც ჩვენ თანამედროვე დემოკრატიაში ვგულისხმობთ. მის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ამერიკულ დემოკრატას, რომელიც იკვეთება 1776 წლის ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში; ვითარდება კოლონიური პერიოდის დასრულებისა და, განსაკუთრებით, სამოქალაქო ომის შემდეგ. 1860-70-იან წლებში ევროპასა და ამერიკაში მიმდინარეობს ბრძოლა დემოკრატიული მმართველობისა და ღირებულებების დამკვიდრებისათვის. ეს პროცესი მსოფლიო ომებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა. თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებები გულისხმობს განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს, სამოქალაქო თანასწორობას და კანონმორჩილებას. დემოკრატის კლასიკური

5. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია www.iaw.indiana.edu/uslawdocs/declaration.html (ნახვა 19 ივლისი 2017)

გაგებით, სახელმწიფოს ქმნის კანონმორჩილი ხალხი, რომელთაც აერთიანებთ ერთიანი სამოქალაქო ღირებულებები.

დემოკრატიის უმთავრესი ღირებულება, სიტყვისა და აზროვნების თავისუფლება, ილია ჭავჭავაძეს თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვან მონაპოვრად მიაჩნია. რუსეთის პოლიტიკის სისუსტეებს ილია ხედავს ბეჭდვითი ორგანოების (მათ შორის პერიოდიკისა და მხატვრული ლიტერატურის) შეზღუდვაში, რომელიც ვრცელდებოდა არა მხოლოდ ანექსირებულ ტერიტორიაზე, არამედ საკუთრივ რუსეთშიც.

მწერლობას მოსპობილი აქვს ყოველი გზა და სახსარი გაცხოველებისა... თავისუფლად თავის აზრისა და შეხედულობის გამოთქმისა, [...] სხვა ქვეყნებში, სადაც კი ბეჭდვის სიტყვის, ჟურნალ-გაზეთებისა და საზოგადოთ ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა ცოტათი მაინც ესმისთ, რაც უნდა უზრალო გაზეთის კორესპონდენტი და თანამშრომელი იყოს, თავს ევლებიან, ხელზე ატარებენ, ეფუფუნებიან...“⁶

– აღნიშავს ილია და დაამატებს, რომ მედიას საზოგადოებრივი აზრის წარმართვა ხელეწიფება. ამდენად მას „წმინდა მისია“ აკისრია, რაც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც ანიჭებს. „დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავად-აზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაკაცობაა, შუა ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდება...“⁷

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: დღეს სხვა ომია, ომი წიგნისა და ცოდნის, ცოდო არ არის ცეცხლსა და მახვილში გამოტარებული ქართული დროშა ჩრჩილმა და მატლმა შეჭამოსო?⁸ ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია, ოღონდ თანამედროვე პირობებში ვითარება კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ კაცობრიობამ შექმნა ბრძოლის ახალი ფორმა – ინფორმაციული ომი. ქვეყნებსა და პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება დღეს ძირითადად ამ საშუალებებით ხორციელდება, მომავალში კი მას, ალბათ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. დღევანდელ რეალობაში მასმედია ინფორმაციული ომების წარმოების მთავარ დამრტყმელ ძალად გვევლინება. დიდი ილია ცხადად ჭვრეტდა იმ გამოწვევების სიმძიმეს, რომელსაც უნდა დაპირისპირებოდა, მისივე

6. ილია ჭავჭავაძე, *თხზულებანი*, ტ. 15, თბილისი, „ილიას ფონდი“, 2007, გვ. 80.

7. *Ibid.*

8. ილია ჭავჭავაძე, *რჩეული ნაწარმოებები* 5 ტომად, პუბლიცისტური წერილები, ტ.4, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987, გვ. 175.

სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჟურნალ-გაზეთობა“ (მედია) ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს – სწორედ, იმ გზავნილებითა და შეტყობინებებით, რაც განამტკიცებდა და გადაარჩინდა ქართული საზოგადოების განვითარების თვითმყოფადობასა და საუკუნეებგამოვლილ სულს.

ჟურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა. [...] არის დრო და საზოგადოება, საცა ჟურნალ-გაზეთობა წინ მიუძღვის ცხოვრებასა და გზას უნათებს, და ცხოვრება კიდევ მწიგნობრობის მოედანსა თავისის უკეთესის ყვაველითა ჰფენს. არის კიდევ დრო და საზოგადოება, მეტყვი მკითხველო, საცა ჟურნალ-გაზეთობა ერთმანეთის ლანძღვა და თრევაა. ეგეც არის, ჩვენდა საუბედუროდ, მაგრამ რა ვუყოთ, საცა წვრილია, იქა წყდება ხოლმე. ეს ვეება ტანი ადამიანის ცხოვრებისა ისე როგორ გადარჩება, რომ დროთა ბრუნვამ სადმე მუწუკი და იარა არ აუჩინოს⁹.

ილია ჭავჭავაძე სრულიად გარკვევითა და ზუსტად გადმოსცემს მედიის მდგომარეობის სურათს და დანიშნულებას სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებებისა და სიტუაციების დროს და ნათლად წარმოაჩინს იმ გავლენებს, რითიც ხასიათდება ამ პროცესების ზემოქმედება საზოგადოების სხვადასხვა ფენებზე და საკუთრივ მედიაზე.

ეს სხვადასხვა ფერობა ჟურნალ-გაზეთობისა დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზედ. იმ ქვეყანაში, საცა საზოგადოების თვითმოქმედობის ძალა მიღებულია, საცა გონებითი და ზნეობითი ნიჭი დაძინებულია, იქ, რასაკვირველია, მწიგნობრობა ერთობ, და ჟურნალ-გაზეთობა საკუთრივ, ძნელად თუ იქნება საზოგადოების აზრისა და გუნების გამომთქმელი. აქ უპირველესი მოვალეობა ჟურნალ-გაზეთობისა სწავლისა და ცოდნის გავრცელება უნდა იყოს, ფეხი უნდა აუდგას თვითმოქმედობის ძალას, მან უნდა აღადგინოს გონებითი და ზნეობითი ნიჭი¹⁰.

ამ სიტყვების აქტუალობა ძალზედ ნათელია დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც მედიაში ჩართულ უამრავ სუბიექტს,

9. ივერიის წინასიტყვაობა, კვირეული ივერია n^o1. თბილისი, 3 მარტი, 1877 წელი, გვ. 2.

10. Ibid.

როგორც მფლობელებს, ისე შემომქმედებს, გაცნობიერებულად არა აქვთ ამ სფეროს დანიშნულება, მნიშვნელობა და გავლენების საშიშროება საზოგადოებრივ პროცესებზე, ან ნებისთხედებიან ამ საშიშ გავლენათა გადმომტანნი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე, რადგან თანამედროვე პიარტექნოლოგიების განხორციელების უმძლავრეს იარაღს სწორედ მედია წარმოადგენს თავისი ფუნქციითა და დანიშნულებით. როგორც ილია ჭავჭავაძე დასძენს, და სწორედ ამ აზროვნებითა და ჭვრეტით არის იგი დროს გასწრებული და მეტად თანამედროვე, მისი სიტყვები, როგორც წინასწარმეტყველება, ზუსტი დანიშნულებაა დღევანდელი ქართული მედიის დიაგნოზისთვის, კერძოდ, „სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება, – აი რაში მდგომარეობს ჩვენი გაზეთის პროგრამა“¹¹. აღსანიშნავია, რომ დიდი მოაზროვნის ამ სიტყვათა მნიშვნელობა დღეს თანაბრად აქტუალურია როგორც ქართული ბეჭდური, ისე ელექტრონული და ახალი მედიისათვის (ინტერნეტ-ტელევიზია, ინტერნეტ-გაზეთი) სტრატეგიული და შინაარსობრივი თვალსაზრისით.

ილია ჭავჭავაძის აზროვნებასა და, შესაბამისად, ლიტერატურულ პროდუქციაშიც ფოკუსირებულია ხალხი, თითოეული მოქალაქე განურჩევლად წოდებისა, ეთნიკური წარმომავლობის თუ რელიგიური აღმსარებლობისა და სქესისა. იგი ემიჯნება „მამათა“ თაობას, რომელთა შორის ამ კუთხით საზოგადოების დაყოფის ტენდენციას ხედავს, მწერლობას ართმევს ელიტარულობის ნიშანს და მასობრივს, „ხალხურს“ ხდის მას. ამ მიზნით ილია ჭავჭავაძე ეწინააღმდეგება სამწერლობო ენის სტილურად დაყოფას და აახლოებს მას სალაპარაკო, ყოველდღიურ ენასთან. იგი ცდილობს, განათლების უფლება მოუპოვოს ყველა წოდებისა და შესაძლებლობის ახალგაზრდას და მიმართავს ბევრ სხვა ღონისძიებას. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა გამოავლენს მის დამოკიდებულებებს იმ კონკრეტული საკითხების მიმართ, რაც დღესდღეობითაც დიდ აქტუალურობას ინარჩუნებს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით.

სამოქალაქო ცნობიერების ერთ-ერთი ნიშანია კანონის წინაშე თანასწორობა და კანონმორჩილება. ილიასეული გაგება თავისუფლებისა და, აგრეთვე, თანასწორობისა ეყრდნობა სწორედ კანონმორჩილების პრინციპს. ვნახოთ, რას წერს ილია ჭავჭავაძე ამის შესახებ:

თავისუფლება იგი ყოფა-მდგომარეობაა ადამიანისაო, ამბობს ბოსსუეტი თავის მსოფლიო ისტორიაში, საცა ყოველი ემორჩილება მარტო კანონსა და საცა კანონი უძლიერესია ყოველ ცალკე

11. *Ibid.*

კაცზედაო... ეს ჭეშმარიტი და ზედმიწევნილი მნიშვნელობა თავისუფალებისა ეხლაც ცნობილია და აღიარებული ეხლანდელ მეცნიერთა და სახელმწიფოთაგან. ჭეშმარიტი, რიგიანი აგებულება და წყობილება კაცთა საზოგადოებისა სწორედ ამ ქვაკუთხედზედ უნდა იყოს ამოყვანილი. საცა ეგ არ არის, იმ კაცთა საზოგადოებური ცხოვრება, რომელიც ერთმანეთზედ დამოუკიდებლად და გადუბმელად შეუძლებელია, მარტო ძალმომრეობაა, ერთმანეთის თელვაა, ერთმანეთის ჩაგვრა და ძარცვა-გლეჯა. მაშინ ყოფა ადამიანისა ნადირთ ყოფაა და ადამიანი, ეგ კერძი ღვთისა, ნადირად გადაქცეულია¹².

გავისხენოთ ილიას ლექსი „გუთნისდედა“, სადაც გმირის ყოფა ცხოველის, კონკრეტულ შემთხვევაში, ხარის, მდგომარეობასთანაა გაიგივებული („ერთ ბედქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ / წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ“). საბჭოთა პერიოდში ამ ლექსის ინტერპრეტაციისას აქცენტები მხოლოდ გლენთა და დაბალი სოციალური წრის მუშათა ჩაგვრაზე კეთდებოდა. ილიას ზემოთ მოყვანილი სიტყვებიდან გამომდინარე, აქ სწორედ არასამოქალაქო და არაცივილური საზოგადებრივი მდგომარეობა უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც ილიას, როგორც განათლებულ, მოაზროვნე და ამ საკითხის მცოდნე ადამიანს, არ აკმაყოფილებს.

მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებასთან და კანონმორჩილებასთანაა დაკავშირებული სამოქალაქო ღირსების შეგრძნებაც. ილიას პუბლიცისტიკაში ამ თემას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ერთ-ერთ წერილში¹³ მწერალი გვიამბობს ბრესლაველი მდიდარი სოფდაგარის ამბავს, რომელიც სამი მანეთისა და ერთი შაურის უსამართლო ჯარიმის გამო ადგილობრივ მოხელეებს უჩივის უზენაეს სასამართლოში.

სასაცილოა განა, მკითხველო, ასეთი დავიდარაბა ერთის მანათის გულისათვის, მერე ვისგან? მდიდარის სოფდაგარისაგან. ჩვენებური კაცი მაშინვე ამოიღებდა ქისიღამ ერთს მანათს და მაშინვე დაამწყურალებდა პოლიციას... რა არის ერთი მანათი სოფდაგარისათვის, ხელის ჭუჭყია, მტვერია და სხვა არაფერი. მაგრამ, აბა, ახლა შიგ ჩაიხედეთ ამ საქმეში... მაშინ სიცილის მაგიერ პატივისცემის შეგრძნება მიგახედებთ ამ სოფდაგარზედ. ცხადია, მდიდარს სოფდაგარს ის კი არ ანალვლებს, რომ ერთი მანათი ერთმევა, არამედ ის, რომ, მისის აზრით, კანონი და სამართალი ირღვევა და კანონი და სამართალი კიდევ მისის თავისუფლების

12. ილია ჭავჭავაძე, *თხზულებანი*, ტ. 9, თბილისი, „ილიას ფონდი“, 2007, გვ. 441.

13. *Ibid.* გვ. 443.

ციხე-სამაგრე იმოდენად ძვირფასია, რომ განურჩევლად, განუკითხველად ხელს არავის ახლებინებს. აი, ნამდვილი, ჭეშმარიტი მოქალაქობრივი თავგამოდება, აი ჭეშმარიტი ქველობა კაცთა საზოგადოების წევრისა¹⁴.

ეს ისტორია მოგვავიწყებს ოთარაანთ ქვრვის ერთ-ერთ ეპიზოდს, სადაც გზირის მიერ ჩადენილი უსამართლობის გამო ქვრივი გუბერნატორთან იჩივლებს. იგი ყოველთვის მზადაა, რომ რკინის ქლამნებითა და რკინის ჯოხით აღჭურვილი დაიცვას არა პრივატული ინტერესები, არამედ სამოქალაქო ფასეულობები. შემთხვევითი არ არის არც „კაცური კაცობის“ ხსენება, ამ სინტაგმას ილია, გარდა ზემოთ მოყვანილი ტექსტისა, პუბლიცისტიკაში ფართოდ, ტერმინოლოგიურად ამკვიდრებს. კაცური კაცობა, იდენტური უნდა იყოს ცნებებისა „თავისუფალი მოქალაქე“/„ღირსეული მოქალაქე“.

ილიას იდეალური გმირები: ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, მოძღვარი და სხვები XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებას აძლევენ¹⁵ სამოქალაქო ცნობიერების მაგალითს, მისაბაძი მოქალაქის ნიმუშს. მათ უპირისპირდება ლუარსაბისა და მისი გარემოცვის, ან ოთარაანთ ქვრივის თანასოფლელების იდეოლოგია, რაც იმთავითვე წარმოადგენს ძველი საზოგადოებრივი სისტემის ნარჩენებს. ისინი არ ქმნიან საზოგადოებას, ამ ფორმით არ არიან ახალი სოციუმის სრულფასოვანი წევრები, ამიტომაც ილიამ ეჭვქვეშ დააყენა ამ „ადამიანების“ მოქალაქეობრივი ღირებულების საკითხი. ტერმინ „კაცობას“ ილია საგანგებო მსჯელობას უთმობს ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში¹⁶. მისი აზრით, ეს ის ფენომენია, რომელიც განურჩევლად აერთიანებს მამაკაცსა და დედაკაცს, რომელიც თანაბომიერ სიბრტყეზე მოიაზრებს მათ. მოქალაქეობრივი ღირებულების თვალსაზრისითაც, ილიას აზრით, მნიშვნელობას კარგავს გენდერული სხვადასხვაობა. ვფიქრობ, მოქალაქეობრივი თვალსაზრისით ოთარაანთ ქვრივის მხოლოდ ღირსებაზე მიუთითებს ის, რომ იგი თავისუფლად ითავსებს მამაკაცის ფუნქციებს. მისი სახის გენდერული ნიშნისაგან განტვირთვის საშუალებით ილია ჭაფჩავაძე გვაძლევს ღირსეული მოქალაქის სახეს. ნიმუშს იმისა, რომ ქალი შეიძლება იყოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, თავისუფალი და განსხვავებული აზრის მქონე, ამასთანავე, დამოუკიდებელი, თავისთავადი, ფსიქოლოგიურად მდგრადი, ძლიერი სუბიექტი.

14. *Ibid.*

15. დოდონა კიზირია, „ოთარაანთ ქვრივი – ქართველი ქალის ზნეობრივი იდეალი“, in ვაზ. ლიტერატურული საქართველო, 27 ნოემბერი, 1992.

16. *Ibid.*

დღეს, ქართული სახელმწიფოს საძირკველი სწორედ XIX საუკუნეში უნდა ვეძებოთ და ისიც ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში, მაშინ როცა ქართველმა სათანადოდ გააცნობიერა, შეაფასა და აღწერა რუსეთის კოლონიალური ხელისუფლების ქვეშ მყოფი საქართველო. ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დასავლური პოლიტიკური ღირებულებების შესავალში უნდა გამოვყოთ ილია ჭავჭავაძის *მგზავრის წერილები*, რაც ქართული ისტორიოგრაფიის მიერ მიჩნეულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრების და მოღვაწეობის საპროგრამო გეგმად. მეტიც, პოლიტიკური თვალსაზრისით, ის დამოუკიდებლობადაკარგული ქართული საზოგადოებისათვის ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მანიფესტი აღმოჩნდა. ვისაც კი როდესმე ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებზე დაუწერია, ამოსავალ დებულებად ყველასთვის ქცეულა ლელთ ღუნისას სიტყვები: «ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო». ზოგადად ამით განსაზღვრავდნენ ხოლმე ილია ჭავჭავაძის, როგორც ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის, მრწამსს. უკეთეს შემთხვევაში ილიას ბიოგრაფიიდან მოჰყავდათ ის სამოქმედო პროგრამები, რომელთაც იგი უსახავდა თავის ხალხს მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაში.

1907 წლის 30 აგვისტო. საგურამოს ეტლი უახლოვდებოდა... წიწამურთან თოფი გავარდა... სამჯერ დაიქუხა არაგვის ხეობამ. წიწამური-საგურამოს გზაზე მოკლეს ადამიანი, ვისი ძალისხმევით გარეშე საქართველო ვერც დამოუკიდებლობას მოიპოვებდა და ვერც თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა. ილიას მოწამებრივი სიკვდილის ამბავმა თავზარი დასცა მთელ საქართველოს. მოკლული იყო ილია ჭავჭავაძე. ადამიანი რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საკუთარი ქვეყნისათვის, ერისათვის ბრძოლას შეაღია. ილიამ თავისი საკუთარი მოღვაწეობით შექმნა ეპოქა, რომელსაც ყოველმხიზებ გარეშე თამამად შეიძლება ეწოდოს ილიას ეპოქა. ქართველი ერის დაკარგული ეროვნული ცნობიერების აღდგენის, ღირსების დაბრუნება-შენარჩუნების ეპოქა.

ფაქტობრივად, ის შესწირეს საქართველოს იდეას. ჯერ ილია მოკლეს და 1921 წელს თვით საქართველოს დამოუკიდებლობა დახვრიტეს... თუმცა ილიას იდეები, საზოგადო ღვაწლი და შემოქმედება საუკუნის შემდეგაც ანუგეშებს ქართველ ერს და მომავლის რწმენასაც უსახავს.

ილიას ცხედარი მთაწმინდაზე დაკრძალეს. მისი ღვაწლის ნათელი დადასტურება და უდიდესი დაფასება 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ მისი წმინდანად შერაცხვა იყო. მას წმინდა ილია მართალი ეწოდა. ეს საბჭოეთის

პერიოდში წმიდანად შერაცხვის პირველი შემთხვევაა. წმინდა ილია მართლისადმი აღვლენილი პირველი წირვა სვეტიცხოველში 1987 წლის 2 აგვისტოს, ელია წინასწარმეტყველის ხსენების დღეს შესრულდა.

ბიბლიოგრაფია

ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია www.iaw.indiana.edu/uslawdocs/declaration.html (ნახვა 19 ივლისი 2017).

კვირეული ივერია n°1, თბილისი, 3 მარტი, 1877.

კიზირია, დოდონა, „ოთარაანთ ქვრივი – ქართველი ქალის ზნეობრივი იდეალი“, in გაზ. ლიტერატურული საქართველო, 27 ნოემბერი, 1992 ილიას სამრეკლო (მოგონებათა კრებული), თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1988.

ჭავჭავაძე, ილია, *თხზულებანი*, ტ. 15, თბილისი, „ილიას ფონდი“, 2007.

ჭავჭავაძე, ილია, *თხზულებანი*, ტ. 9, თბილისი, „ილიას ფონდი“, 2007.

ჭავჭავაძე, ილია, *რჩეული ნაარმოებები 5 ტომად*, ტ. 1, *ლექსები, პოემები, თარგმნილი ლექსები და პოემები*, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1985.

ჭავჭავაძე, ილია, *რჩეული ნაარმოებები 5 ტომად*, ტ. 4, *პუბლიცისტური წერილები*, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987.